თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 6

ქ.თერჯოლა

23 მაისი 2025 წელი

ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე 4. ბადრი ბუცხრიკიძე, 5. თემური ქოჩიაშვილი, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. შალვა ჭანკვეტაძე, 8. გრიგოლ გიორგაძე, 9. ჯემალ ისაკაძე, 10. გოჩა ვერულაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1.კახა ბუცხრიკიძე, 2. ტარიელ ფანჩულიძე.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 10
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

3. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

4. ქ.თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის, სამუსიკო სკოლის (ს/კ 33.09.36.202) ეზოში ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ.

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი - „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ქმნის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოს. (შემდგომში- საბჭო).
საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონის, თერჯლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ამ დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტის შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა 21 წევრით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი - ცვლილება განაპირობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნამ.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ ბიუროს წევრებს გააცნო ქ.თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის, სამუსიკო სკოლის (ს/კ 33.09.36.202) ეზოში ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი ქ.თერჯოლაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობის, სამუსიკო სკოლის (ს/კ 33.09.36.202) ეზოში ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ზარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 მაისის საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ზარათაშვილი.